ტრინაციონალური საზაფხულო უნივერსიტეტი „ჩვენი ქალაქების მომავალი“

საარბრიუკენი - 26.08.–31.08.2013
ნანტი - 01.09. - 06.09.2013
თბილისი - 2014 წ. გაზაფხული

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ-ს, ზაარლანდისა (გერმანია) და ნანტის (საფრანგეთი) უნივერსიტეტების ერთობლივ საზაფხულო უნივერიტეტში „ჩვენი ქალაქების მომავალი“ მონაწილეობისათვის, რომელიც **ა/წ. 26 აგვისტოდან 06 სექტემბრამდე** გაიმართება საარბრიუკენსა და ნანტში, ხოლო 2014 წლის თბილისში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ ჰუმანიტარულ, სოციალურ პოლიტიკურ, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების (გერმანული და ფრანგული ფილოლოგიის, კულტურის მეცნიერების, ისტორიის, სოციოლოგიის, პოლიტიკის მეცნიერებათა და გეოგრაფიის მიმართულებების) მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტებს ისევე როგორც ახალგაზრდა მკვლევარებს (პოსტდოქტორანტებს), რომლებიც სრულყოფილად ფლობენ გერმანულ და /ან ფრანგულ ენას.

<u>კონკურსზე დარეგისტრირების ბოლო ვადაა: 2013 წლის 30 აპრილი, 12 საათი</u>

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე)
II ეტაპი – გასაუბრება

კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება <u>2013 წლის 1 მაისს, 10 საათზე</u>
აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!

კონკურსის II ეტაპი (ზეპირი გასაუბრება) გაიმართება <u>2013 წ. 13 მაისს, 10 საათზე</u>

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212

<u>კონკურსში მონაწილეობის მსურველთა სააპლიკაციო დოკუმენტების მიღება ხდება ელექტრონულად შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:</u>

http://dfronline.tsu.edu.ge/

სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი:

- CV - გერმანულ / ფრანგულ ენაზე
- მოტივაციის წერილი - გერმანულ / ფრანგულ ენაზე
- რეკომენდაციის წერილი - ქართულ და გერმანულ / ფრანგულ ენაზე (რეკომენდატორის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან - ქართულ ენაზე
- დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი
- პასპორტის ასლი

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

შენიშვნა: *<u>რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი თსუ ელ-ფოსტის მისამართით!</u>*

თსუ ელ-ფოსტის მისამართთან ან პაროლთან დაკავშირებული პრობლემების შემთხვევაში მიმართეთ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212